პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი. № 120 (12936) | კვირა, 24 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ვაქკაცები აშენებენ მომავალს

მშენებელის პროფესიას ერთი დიდი სიკეთე სჭირს, აშენებს და საშვილიშვილოდ ტოვებს. გავა წლები, ათეული, ასეული... და დგას მისი ნახელავი.

აი ამ სურათზე რომ ახალგაზრდებია, ისინი შეიძლება ახლა არ ფიქრობენ იმაზე, რომ ამ მტკიცე ვაჟკაცური ხელებით მომავალს აშენებენ. ისინი ახლა ფიქრობენ, რომ რაც შეიძლება მალე და კარგად აშენონ, რაც შეიძლება უკეთ დაამონტაჟონ, ვადაზე ადრე ჩააბარონ ობიექტი და მადლობა დაიმსახურონ, კაცმა რომ თქვას სხვა რა არის მომავლის შენება.

ეს ფოტოსურათი ჩვენმა კორესპონდენტმა ს. კილაძემ, საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში გადაიღო.

სახელგანთქმული ლიტოპონის ქარხნის ახალი ობიექტების მემონტაჟეებმა (ზემოთ) ჯემალ ბასილაიამ და (ქვემოთ) ჯემალ გეფერიძემ მხოლოდ წუთით შეაჩერეს მუშაობა. ფოტო აპარატმა დაიჩხაკუნა — „არის!..“

ბიჭებმა სახეზე კვლავ ნიღბები აიფარეს და შრომა განაგრძეს.

პარტიული ჯგუფები

ჩვენი სამშობლო კომუნიზმის ხარაჩოებშია ჩასმული. ყველა კუთხეში ცისკენ მიიწევენ სართულები. სიუხვის გასაღები მოუმარჯვებიათ ხელთ სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ფარდა ეხდება ბუნების საიდუმლოებებს სამეცნიერო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში. საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით ხორცს ასხამს გრანდიოზულ გეგმებს, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა ორგანიზატორია ჩვენი დიადი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ეურდნობა თავის მრავალრიცხოვან პირველადს ორგანიზაციებს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში.

ყველა ჩვენი საქმის წარმატება, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა პარტიის XXII ყრილობაზე, ბევრად არის დამოკიდებული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონეზე პარტიის ძირეულ რგოლებში.

პირველადი ორგანიზაციები და მათი მებრძოლი უჯრედები — პარტიული ჯგუფები გამოდიან მასების ორგანიზატორებად კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში, ადამიანთა აღზრდისათვის მაღალი კომუნისტური იდეალებით. პარტიის ამ ძირითად რგოლებში ყალიბდებიან კომუნისტები, როგორც იდეური, აქტიური. შეგნებული მებრძოლები. მათი საშუალებით პარტია პრაქტიკულად ახორციელებს მასებისადმი ხელმძღვანელობას. ატარებს ცხოვრებაში თავის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს.

რით აღწევენ პარტიული ჯგუფები ასეთ დიდ ძალას და რა საშუალებები აქვთ მათ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში?

პარტიული ჯგუფები უშუალოდ წარმოებასთან ახლოს არიან და ყველაზე ახლოს დგანან ადამიანებთან. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამ დასაყრდენებს ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ ზემოქმედება მოახდინონ ყოველი ადამიანის გონებასა და გულზე, შრომასა და ცხოვრებაზე.

ბევრი მებრძოლი, ინიციატივიანი პარტიული ჯგუფი მოქმედებს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, საზოგადოებრივ მეურნეობებსა და მშენებლობებზე. მარტო ქ. ჭიათურის მაღაროებსა და მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში 50-ზე მეტი პარტიული ჯგუფია. პერევისის მაღაროს მეოთხე საწარმოო უბანში მომზადების ცვლის პარტიულ ჯგუფს წარჩინებული მებიგე შ. სამხარაძე ხელმძღვანელობს. ამ პარტიულ ჯგუფში ექვსი კომუნისტია. ცვლის უფროსი, ახალგაზრდა ინჟინერი, პარტიის წევრობის კანდიდატი დ. მეფარიშვილი, კომუნისტებმა ბ. ცუცქირიძე, პ. მოცრაძე, ნ. კუპატაძე, მ. ჭუმბურიძე და თვით შ. სამხარაძე კომუნისტური შრომისა და ყოფის საუკეთესო ნიმუშს იძლევიან. ისინი არა მარტო პირად გეგმებს ასრულებენ დიდი გადაჭარბებით, არამედ რაზმავენ კიდეც უპარტიო ამხანაგებს მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში.

მომდინარე წლის 17 აპრილს პარტიულმა ჯგუფმა იმსჯელა რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხები. აღინიშნა, რომ თუმცა ამ დარგში არის მიღწევები, მაგრამ მაღაროელთა ყურადღება გამახვილდა წარმოების „ვიწრო ადგილებზე“, მათ გაეცნოთ რაციონალიზატორთა თემატიკა. ამან სასურველი შედეგი გამოიღო: ცვლაში იმატა რაციონალიზატორთა რიცხვმა.

წელს პარტიული ჯგუფის სხდომებზე იმსჯელეს აგრეთვე შრომისა და საწარმოო დისციპლინის, კომუნისტთა იდეოლოგიური მომზადების, წარმოების კულტურის ამაღლების, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის, მადნის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მომჭირნეობის გზებზე, ამასთან პარტიულმა ჯგუფმა უბნის ხელმძღვანელობასთან ხელიხელჩაკიდებულმა ბევრი მტკივნეული საკითხი მოაგვარა.

პარტიულმა კრებამ აპრილში მოიხმინა შ. სამხარაძის ანგარიში, განაზოგადა მისი გამოცდილება. პარტიულმა ბიურომ (მდივანი ემ. კაპანაძე) წელს ორჯერ მოაწყო პარტჯგუფორგების თათბირ-სემინარი, კომუნისტებმა ისაუბრეს პარტიული ჯგუფების უფლებამოვალეობაზე, სადღეისო ამოცანებზე.

ამ ღონისძიებებს ამაოდ არ ჩაუვლია: პარტიულ ჯგუფს გარკვეული წ

ახალი ელექტროღუმელების დაბადება

შვიდწლედის მეექვსე წლის მაისი, მესამე დეკადის პირველი დღეები. ეს დღეები მარადსახსოვარი იქნება ზესტაფონელი მშრომელების — მშენებლებისა და მეტალურგებისათვის. მწყობრში ჩადგა შვიდწლედის კიდევ ერთი პირმშო — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი საამქროს პირველი დახურული ელექტროღუმელი.

ვის არ ნახავთ ამ დღეებში მშენებლობის ტერიტორიაზე? აქ არიან რესპუბლიკის პარტიული, სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგები, გამოჩენილი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი მეტალურგები, რიგითი მშენებლები, მემონტაჟეები თუ მდნობელები. ყველას სახეზე სიხარულსა და სიამოვნებას, სიამაყესა და აღფრთოვანებას ამოიკითხავთ. კიდევაც აქვთ ამის საფუძველი.

ყველაზე უფრო თითქოს უნდა ხარობდეს და ღელავდეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. მიქელაძე. იგი ხომ დახურულ ღუმელებში ლითონის გამოდნობის თაოსანია. მაგრამ იგი დინჯად, წარშეკრული უტრიალებს ღუმელებს, თვალმოუშორებლად შესცქერის ყოველ პროცესს.

დიახ, დახურულ ღუმელებში ლითონის გამოდნობის იდეა საბჭოთა კავშირში პირველად ზესტაფონში დაიბადა და მისი ავტორი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ელექტროთერმიის ლაბორატორიის კოლექტივი, რომელსაც ნიჭიერი მეცნიერი ბ. მიქელაძე უძღვება. ამ ლაბორატორიის გამოცდილმა კოლექტივმა ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებთან მჭიდრო თანამშრომლობით გადაწყვიტა ეს მეტად რთული და დიდი მნიშვნელობის პრობლემა.

დახურულ ელექტროღუმელებში ლითონის გამოდნობის ცდები პირველად საბჭოთა კავშირში სწორედ ზესტაფონში დაიწყო. პირველი ცდები მოეწყო 250-კილოვატიან, შემდეგ 2.500-კილოვატიან ღუმელებზე. კარგი შედეგები მიიღეს. ქართველმა მეცნიერმა-მეტალურგებმა სამრეწველო ცდები გაიმეორეს ზაპოროჟიესა და ალმაზნაიას ფეროშენადნობთა ქარხნებში. და როცა იდეამ გაიმარჯვა, გადაწყდა ზესტაფონში ახალი საამქროს აგება.

ყოველ ასეთ ახალ საქმეს ფართო გასაქანი და მხარდაჭერა აქვს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რომელსაც სამართლიანად ეძახიან საკავშირო ქარხანა-ლაბორატორიას.

— ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, — გვითხრა ელექტროთერმული ლაბორატორიის უფროსის მოადგილემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, პირველმა მეტალურგმა ქართველმა ქალმა, სამუშაოთა პასუხისმგებელმა შემარულებელმა ე. ნადირაძემ, — ყოველთვის იყო და არის ახლის მაძიებელი, ნოვატორული სულის მატარებელი. ამიტომ იყო რომ ზესტაფონელი მეტალურგები ასეთი მხარდაჭერითა და სიამოვნებით შეხვდნენ ამ კეთილშობილურ საქმეს.

პირველმა მეტალურგმა ქალმა მოიგონა დიდუბის საცდელი ქარხანა, სადაც 1.000-კილოვატიანი ტრანსფორმატორი წვალობდნენ, მაგრამ დიდი ქართველი მეცნიერის ბ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით პირველად საბჭოთა კავშირში მიიღეს ფეროშენადნობი. მეცნიერმა ქალმა დიდუბის პატარა ღუმელს შეადარა ახალი ღუმელი, სადაც 16.500-კილოვატიანი ტრანსფორმატორები მუშაობენ, და კორესპონდენციის სათაურიც კი შემოგვთავაზა: „შეიძლება იგი ასე დასახათაუროთ: დიდუბის საცდელი საამქროდან — ზესტაფონის მძლავრ დახურულ ღუმელებამდე...

მშენებელ-მემონტაჟეებთან და მეტალურგებთან ერთად ახალი საამქროს მშენებლობაში დიდი წვლილი შეაქვთ ელექტროთერმის ლაბორატორიის უნარიან თანამშრომლებს — ძველ გამოცდილ მეტალურგს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ირ. ლორთკიფანიძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს შ. ფხაკაძეს, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს ბ. გოგორიშვილს, ბ. დგებუაძეს, ა. ძოძუაშვილს, რუსუდან ცხვედიანს...

მაგრამ ღუმელების მშენებლობის მთელი სიძნელე-სირთულე მაინც მშენებლებმა და მემონტაჟეებმა გადალახეს. წარმოდგენა რომ გვქონეს მშენებლობის მასშტაბზე, დავასახელებთ რამდენიმე ციფრს: შესრულდა 650 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები, ჩაისხა 32 ათასი კუბმეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დამონტაჟდა 19 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები და ასაწყობი რკინაბეტონი, 2.000 ტონა მოწყობილობანი. შენობის მოცულობა 680 ათას კუბმეტრს უდრის.

მშენებლობაზე მამაცური შრომით თავი გამოიჩინეს ლენინის ორდენოსან გ. ქურციკიძის, გ. პაპიძის, გ. ძიგანაძის, თ. მანჯავიძის, ვ. გიგაშვილის, ა. მაჭარაშვილის, ა. თურმანიძის, მ. ნებიერიძისა და სხვათა ბრიგადებმა.

დიდი შრომა გასწიეს ზესტაფონმშენის, ჭიათურმშენის, ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის მეტალურგეტექკავშირის, მრეწვმშენის, ბინმშენის სამმართველოებმა.

მონტაჟზე თავი ისახელეს ა.ბერეთვე „სტალონსტრუქციის“, „მეტალურგპროექტაუის“ „კაველექტრომონტაჟის“, „კავსანტეხმონტაჟის“, „პრომვენტილაციის“ სამმართველოების უნებლმა (უფროსები ი. თოფურია, ნ. კლარკო, ჯ. გუნიავა, ნ. ლარინი, ბ. ბოკვერაძე). მათ საგულდაგულოდ დაამონტაჟეს მოწყობილობა - დანადგარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურული ღუმელები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. სასიხარულო და საამაყოა, რომ აქ დამონტაჟებულია სამამულო მოწყობილობა-დანადგარები. ისიც აღსანიშნავია, რომ საამქროს მშენებლობის კარგი პროექტი შექმნა „გიპრომეზმა“.

ღუმელების მართვისათვის მაქსიმალურად არის გამოყენებული მექანიზაცია-ავტომატიზაცია, ტექნოლოგიური პროცესის მართვა ხორციელდება პულტიდან, ღუმელები აღჭურვილია თანამედროვე საკონტროლო საზომი ხელსაწყოებით. მათ აქვთ კაზმის მექანიკური ჩატვირთვისა და ლითონის მანქანური ჩამოსხმის მოწყობილობანი. გაზგამყვანი და დამჭერი დანადგარები, საუცხოოა ვენტილაცია.

დახურული ღუმელები ზრდიან წარმადობას, შრომის ნაყოფიერებას აუმჯობესებენ წარმოების კულტურას, მუშათა ჰიგიენისა და შრომის პირობებს.

რაც მთავარია, დახურული ღუმელებიდან მიღებული გაზები წარმოადგენენ მდიდარ ნედლეულს ქიმიური სინთეზისათვის. იქიდან მიიღება კაპროლაქტანი, ნეიტრონი, ხელოვნური ბოკკოები და სხვ.

— პირველი სერიოზული წარმატება მოპოვებულია, — განაცხადეს № 8 სამშენებლო ტრესტის მმართველმა ბ. შანიძემ, ტრესტის მთავარმა ინჟინერმა, სამშენებლო კომპლექსის უფროსმა ი. ნებიერიძემ, ზესტაფონმშენის სამმართველოს უფროსმა ხ. მახათაძემ, — მაგრამ წინა გვაქვს უფრო დიდი სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად უნდა დაირაზმონ მშენებელ-მემონტაჟეები.

მართლაც, შვიდწლედის პირველი ზღუდე აღებულია, პირველი იერიში წარმატებით დამთავრდა. შეტევა გრძელდება. წლის ბოლომდე მწყობრში უნდა ჩადგეს კიდევ ა.ალი დახურული ღუმელები, ბოლო შვიდწლედის ბოლოსათვის შენადნობი უნდა მოგვცეს ყველა დახურულმა ღუმელმა.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: ზემოთ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი საამქროს დახურული ელექტროღუმელების მოწინავე მშენებელ-მემონტაჟეები ბ. კაკოიშვილი, გ. ძიგანძე, ვ. ბოდოკია, ვ. ჩინაკალოვი, მ. პაპიძე, ვ. გიგაშვილი და ს. კოპანოვი; ქვემოთ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი საამქროს № 1 ღუმელის ელექტროპულტის მმართველი ზინა გიორგაძე.

ფოტო კ. მაჭავარიანისა.

ნახავ და მოიხიბლები

ჯეირნის ნაკვალევზე

ვ ნახავთ აზერბაიჯანის გული — ბაქო. დავათვალიერეთ მრავალი ღირსშესანიშნაობა: ათასი შთაბეჭდილება. აი ახალი ინდუსტრიული ქალაქიც — სუმგაითი.

გაგვეხარდა, რომ ძმობის ნიშნად ბაქო-სუმგაითის 33-კილომეტრიანი გზატკეცილისთვის ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის სახელი უწოდებიათ. ამ გზით მიმავალი ყველა ქართველი, ალბათ, თავს მასპინძლად გრძნობს.

ლამაზია გზატკეცილი. ორიეე მხარეს ამაყად ზაზილულან ეერხვები, ეხრები ჩამოუშვიათ კედრებს, პატარა ტეიებს კი საიდუმლო ხლართი გაუბამთ მათ შორის და ბაქოსა და სუმგაითს შუა მდებარე კამკამა ტბის — ჯეირან ბატანისაკენ მიაცილებენ მგზავრებს.

ადრე ეს ადგილი ჭაობიანი, გაუვალი ყოფილა. ერთხელ ამ მხარეში თვალხატული, თავაწეული, ყელმოღერებული ჯერანი მდიოდა ფურმე. ლერწმისა სიმწვანეს სიორმეში შეუტყუებია, შიგ ჩაფლულა, დამხერჩალა...

გავიდა დრო. ამ ადგილზე წყალი შეგუბდა, ადიდდა, ბოლოს ტბად იქცა, და სახელიც შესაფერისი მოუნახავთ, ჯირნის ტბა — ჯერან ბატანი დაუჩქვიათ. ეს ტბა საოცრად ჰგავს ჩვენთვის საყვარელ თბილისის ზღვას.

არ ვიცი, რა ფერის თვალები აქვს ჯერანს, ვფიქრობ, მწვანე, რადგან მიმწვანია მისი ტალღა და უძირო — ფსკერი.

მშვიდია და მდუმარე, დიდი მარგალიტივით ჩაღეკენთილა სიმწვანეში. ესმის. მაგრამ როდი აკრთობს სუმგაითის ქარხნების საყვირთა ხმა, დროდადრო რომ საათებს ახსენებენ გიგანტის მუშებს. ჯერან-ბატანი ჩვეულებრივად წყნარი, მიმზიდველია. მხოლოდ პატარა ტალღები ანცობენ და ჩუმი მიმოქცევით კოცნიან ნაპირს. სულ ცოტა მანძილია ჯერან-ბატანიდან სუმგაითამდე, თითქმის მოჩანს კიდეც ქალაქის კონტურები.

სუ გელი გაითთი! წყალი დაბრუნდა! — ასე უწოდებენ სუმგაითელები თავიანთ ქალაქს.

ადრე სუმგაითის ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე მოსახლე ყოფილა... დაძაბული შრომით აშენდა ფოლადის ქალაქი, რომელსაც სუმგაითი ეწოდა.

ფართოდ შლის მხრებს აზერბაიჯანის ახალი ინდუსტრიული კერა. ერთმანეთის მიყოლებით წამოიმართნენ გიგანტის კოპრუსები. აშენდა მილსაგლინავი, ალუმინის, სინთეზური კაუჩუკის, სუპერფოსფატის, სპირტის და სხვა ქარხნები. აქვეა ნავთობკომბინატი.

ერთმანეთის ეჯიბრებიან ძმები — სუმგაითელი და რუსთაველი მეტალურგები. ამ შეჯიბრებამ უკვე ტრადიციული ხასიათი მიიღო. ეს შეჯიბრება უფრო გამოცდილების, მოწინავე მეთოდების გაზიარებაა.

სუმგაითის ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის კოლექტივმა ღირსეული წვლილი შეიტანა შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა დიდძალი ფოლადი, მილები და ნაგლინი.

რუსთაველ და სუმგაითელ მეტალურგთა ეალდებულებაა ვადამდე შეასრულონ შვიდწლედის მეექვსე წლის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვან: 3.000 ტონა მარტენული ფოლადი, 2.000 ტონა ნაგლინი 1.000 ტონა ფოლადის ძილები, სულ ასი ათასობით მანეთის საერთო პროდუქცია. მათი ეს ვალდებულებები გამოყოფილია ქალაქის ცენტრში ლენინის მოედანზე.

ყოველმხრივ კეთილმოწყობილია მუშათა დასახლება ქალაქის საცხოვრებელ ნაწილში. აქ ხუთ თვეში აშენდა 600 ათასი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი. ახლა სუმგაითში 83.000 კაცი ცხოვრობს მათ შორის 40-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებია.

ლამაზად გაჭრილი ხეივნებით და სკვერებით დამშვენებულია სუმგაითის ჭიშკრები, პროსპექტები და მოედნები. მწვანეშია ჩაფლული მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი — ზღვის სანაპირო.

იზრდება, მშვენდება სუმგაითი. შენდება საცხოვრებელი სახლები. ახალი შენობების ზოვაში კოშკებივით მოჩანან და ღიედალმ ხრიალებენ აყლაყუდა ამწეები.

ენერგიის დაუზოგავად შრომობს ხალხი.

სართულს საროული ემატება.

ბელა დურგლიშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტი.



კოშკები ზღვაში

ნ ავთობის ქვები. როგორი არიან ისინი? ბევრი რამ დაწერილა მათ შესახებ. მაგრამ რას ეტყვიან ისინი თვითეულს პირადად, რას გაუზიარებენ, რას უჩვენებენ ადამიანს ისეთს, რაც წინათ არ ეჩვენებინოთ?

...ჟურნალისტები ორ კატერს იკავებენ. ხუმრობენ, ცდილობენ რაც შეიძლება მოხერხებულად მოეწყონ.

და აი კატერები უკვე მიჰქრიან ზღვაში გაშენებული ქალაქისაკენ. ძლიერი ცივი ქარი უმერავს. აი ისინი, ჟურნალისტები, ვიწროდ შეკრულ წრედ სხედან. და თითქმის ყველანი მოგაგონებენ ბავშვებს, რომლებიც რაღაც წარმტაცს, ძალიან საინტერესოს ეცნობიან.

თათბირის სამი დღის მუშაობამ დამეგობრა ეს ადამიანები. სამ დღეს მინდინარეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჟურნალისტთა საჭირო, საქმიანი საუბარი. ძირითადი თემები იყო: ხალხთა ლენინური მეგობრობა, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

სემინარის მონაწილენი ლაპარაკობდნენ მასალის მიწოდების გაუმჯობესებაზე, საკითხთა გაშუქების სიღრმეზე, მასალების ქმედითობის გაძლიერებაზე, უხვად უზიარებდნენ ერთმანეთს მათ მიერ მიკვლეულ ყოველივე კარგ სიახლეს. თვითეულ გამოსვლაში იყო საინტერესო, საქმიანი აზრი.

ახლა კი ზღვაში მოჩახჩახე კოშკებზე ვისაუბრთ. ისინი სადაც არის გამოჩნდებიან. დაძაბულად ვაკვირდები ნისლს, თვალები ოდნავ მეცრემლება... ქარი მაგრად მცემს სახეში.

კატერი ნელა შედის „ნავსადგურში“, და აი უკვე ვდგამთ პირველ ნაბიჯებს ნავთობის ქვებზე. თვითეული ნაბიჯი — ეს არის სიახლეში, სასწაულში გადადგმული ნაბიჯი.

თქვენ საინტერესო ცხოვრება გაქვთ, ქვებო! ჯერ ხომ გასულ საუკუნეში ალაპარაკდა ადამიანი თქვენზე. მაშინ შავ ქვებს გიწოდებდნენ, ასე უწოდებდნენ ხმელეთის ნაჭერს შუა ზღვაში ნაპირიდან ოთხმოცდათორმეტ კილომეტრზე. ჯერ კიდევ მაშინ ზოგიერთს თუმცა, ცოტა ვინმეს, მიაჩნდა, რომ თქვენ შეგეძლოთ მოგეცათ ნავთობი, მაგრამ ეს ცოტანი მოკლებული იყვნენ საშუალებას ძიება ეწარმოებინათ. რეგოლუციის შემდეგ თქვენ ნავთობის ქვები დაგარქვეს, მაგრამ ადამიანებს თქვენ, ქვებო, კვლავ იშვიათად ხედავდით. თქვენ ელოდით ადამიანს, უმზადებდით მას სასიამოვნო სიურპრიზს.

და აი, ბოლოს, 1947 წელს ადამიანი ჯეროვნად დაინტერესდა თქვენით და კიდევაც დაჯილდოებულ იქნა თანდათანობით. თქვენ ხომ არ გინდოდათ ერთბაშად გადაგეშალათ თქვენი საიდუმლოება, იქნებ გწყინდათ, რომ ასე დიდ ხანს გალოდინათ, და გადაწყვიტეთ ცოტა დაგესაჯათ იგი? ან იქნებ ოდნავ გაშინებდათ თავისუფლების დაკარგვა? იქნებ არ გინდოდათ მასთან საზიარო გაგებადნათ თქვენი ზღვა, რომელთანაც პირისპირ ატარებდით დღეებს, ხოლო თუ წაიკიდებოდით, გაჯავრებით ამსხვრევდით ჯიუტ ტალღებს, მაგრამ წყენას მალე ისევ ივიწყებდით და რიგდებოდით. და აი უკვე ცოცხალი ტალღები ვალერსებიან თქვენს გულს, ქვებო!

ადამიანმა მალე შეძლო სამუდამოდ მოეპოვებინა თქვენი სიმპპათია. იგი დაგეხმარათ გაზრდაში, და ახლა თქვენ ასორმოცდალმეტრიანი ესტაკადის ფუძეს შეადგენთ. მაგრამ ადამიანი თქვენ გიფასებთ არა მარტო ამიტომ. 8-10 დღეს მუშაობს ესტაკადებზე, 8-10 დღეს დადის ზღვის თავზე, ცხოვრობს ზღვის თავზე, და რა მაღლიერია თქვენი, ქვებო, იმისათვის, რომ გხედავთ თქვენ — ნაპირის ნაწილს, იმისათვის, რომ შეუძლია ხმელეთზე გაიაროს, ფეხქვეშ კი ნამდვილი ქვაა ჰქონდეს.

გახსოვთ თქვენი პირველი სამუშაო დღე? ეს 1949 წლის 7 ნოემბერი იყო. ამუშავდა პირველი ჭაბურღილი. იმ დღეს მოპოვებულ იქნა 100 ტონა ნავთობი. და მას შემდეგ ასეა: ადამიანები, ზღვა, ქვები. ზღვაში მომუშავე, ნავთობის მომპოვებელი ადამიანები.

ყოველდღე ესტაკადებზეა ასობით კაცი, სულ კი თქვენ იცნობთ სარეწებზე მომუშავე ათასობით მუშას, ჩინეთელად იცნობთ ოთხასსავე ინჟინერსა და ტექნიკოს, 460 ქალს.

თქვენ გესიამოვნათ და გაგეხარდათ, როცა ესტაკადების დაბაში საღამოს სკოლა გაიხსნა, ნაპირზე კი შეიქმნა სპეციალური კურსები ნავთობის ქვებზე მომუშავეთათვის (8-10 დღის მუშაობის შემდეგ ისინი ხომ 6-7 დღეს შინ ისვენებენ).

ესტაკადებზე შექმნილი დაბა კი ჩინებულია და სასლებიც არ არის ცუდი: ორსართულიანები, სუფთა, ნათელი. მაღაზიებიც არის, სახადილოებიც, პოლიკლინიკაც, საპარიკმახეროც. მოედანზე კი ტელეფონ-ავტომატის ჯიხური დგას.

ამბობენ, რომ მალე დაბა საკმარისი აღარ იქნება. აი აქ გამოდგებიან (მერამდენჯერ), ქვებო. ახლა ახალი დაბის ამენების პროექტს განიხილავენ. ამჯერად იგი აშენდება უკვე არა ესტაკადებზე, არამედ ხმელეთის ნაწილზე. ორი პროექტია: სამი თორმეტსართულიანი სახლისა, და მეორე — ექვსი ექვსსართულიანისა. თქვენ თვითონაც იცით, გრუნტის სინჯები რომ წარმოებს. საცხოვრებელი ბინები კომფორტული იქნება. მენავთობეებს საღამოობით შესაძლებლობა ექნებათ უკეთ დაისვენონ მუშაობის შემდეგ.

ჟურნალისტები ესტაკადებზე დადიოდნენ და უყურებდნენ, ისუნთქავდნენ, შეიცნობდნენ ახალს. თქვენი ადამიანები, ქვებო, მთლად ჩვეულებრივი, ძალიან უბრალო და, ამავე დროს, განუმეორებელნი არიან. ჟურნალისტები შემოგნატროდნენ, რომ თქვენ იცნობთ ამ ადამიანებს, ყოველდღე ხედავთ მათ ჭაბურღილებთანაც და კლუბშიც, ტელეფონის ჯიხურშიც და ესტაკადაზე მოსიარულეთაც.

შემდეგ კი აღტაცებულნი, მაგრამ ცოტა შეცივებულნი და მოშიებულნი, სასადილოსაკენ გაემართნენ. ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს და თან ხინკალსა და ბლინებს შეექცეოდნენ. ჰაერში იდგა პურის საამო სურნელი.

და კვლავ ესტაკადი. ცდილობდნენ დაეხსომებინათ ყველაფერი, რასაც თვალი ხედავდა. უკანასკნელი გამოსათხოვარი ნაბიჯები.

ბევრნი ეთხოვებოდნენ წყალზე მდგომ ქალაქს. ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის მრავალტრაკვიანი გაზეთის რედაქტორმა ამალია ბაბახანიანმა თქვა „შესანიშნავია! ვიცოდი, რომ დავიღლებოდი და შეიძლებოდა თავბრუც დამსხმოდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ასეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახავ, და წამოვედი. ის, რაც აქ ვნახე, დაუვიწყარია“.

შეიძლება ითქვას, თვითეულს ეჩვენა, რომ თვითონ ეთხოვებოდა ამ სიტყვებით ესტაკადებს, ადამიანებს, ქვებს. შესანიშნავმა ადამიანებმა მოგვათვინიერეს თქვენ, ქვებო, გიყვარდეთ ისინი!

მაია გოლოვაჩევა,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტი.



ჯილდოები გამარჯვებულებს

უკანასკნელ ხანს პროფკავშირული კინოდანადგარების კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მშრომელთა მომსახურება, აამაღლეს ფილმების ჩვენების ხარისხი და კულტურა, უკეთ მოაწყვეს მასობრივი მუშაობა მაყურებლებში.

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეჯამა პროფკავშირული კინოდანადგარების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1964 წლის პირველი კვარტალის შედეგები მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში და გამარჯვებულად ცნო თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის კოლექტივი, რომელსაც საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა. ბორჯომის სადგურის რკინიგზელთა კლუბის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი ალამი და მეორე ფულადი პრემია.

ციხისჯვრის ჭიშთსანაშენო საბჭოთა მეურნეობის კლუბის კოლექტივმა გაიმარჯვა სასოფლო პროფკავშირული კინოდანადგარების შეჯიბრებაში. მას მიენიჭა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამაკალი ალამი და მეორე ფულადი პრემია მიენიჭა ნასაკიარალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კლუბის კოლექტივს.

საქართველოს პროფსაბჭომ აღნიშნა სოხუმისა და ბათუმის სადგურების რკინიგზელთა კლუბების, თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლის, გაგრის მეცენატურეობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატისა და საავტომობილო ქარხნის კლუბების, ტყვარჩელის მეშახტეთა კლუბისა და სხვა პროფკავშირული კინოდანადგარების კოლექტივების კარგი მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის პროფკავშირების საოლქო საბჭომ ვერ უზრუნველყვეს მაყურებელთა კინომომსახურების გეგმის შესრულება. (საქდესი).

>

საზოგადოებრივ საწყისებზე

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც პედაგოგი ვ. ჩიბოგავა ხელმძღვანელობს. კაბინეტი უზრუნველყოფილია პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით.

აქ სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები.

საზოგადოებრივ საწყისებზე პოლიტიკური განათლების კაბინეტები შეიქმნა აგრეთვე წალენჯიხისა და ჯვარის ჩაის ფაბრიკებში.

გ. თორდია.

ბესტაკორის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა

მსჯელობენ კომუნისტები

მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „სკკპ ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის“.

კონფერენციას ესწრებოდა 600-ზე მეტი კაცი — პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, სემინარებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, სკოლების დირექტორები, ისტორიის მასწავლებლები.

მოსმენილ იქნა ოთხი მოხსენება, მათ შორის ქ. აბაშის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის მ. თელიასი — „მსოფლიო სოციალიზმის ბრძოლა კაპიტალიზმთან ჩვენი ეპოქის ძირითადი შინაარსია; ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის ანტილენინური შეხედულებანი სოციალიზმის მსოფლიო როლზე“.

„სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები თანამედროვეობის რევოლუციურ ძალთა ძირითადი ბუჯრია“, — ასეთი იყო თემა მოხსენებისა, რომელითაც გამოვიდა ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე შ. ჯღარკავა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. გელენიძემ, ა. პატარაიამ, ა. ლაბარტყავამ და სხვებმა.

თეორიული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ბესტაკორის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ჩხოლარიამ.

ი. თოფურია, გ. გვაზავა.

ვარტიული ცხოვრება

მეგობროობის საღამო

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში მცხოვრებმა ოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა მეგობრობის დიდ საღამოში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

საღამო გახსნა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. კობახიძემ. მოხსენებით — „სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების წყაროა“ — გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. ცქვეტიხიძე.

ტრიბუნაზე ერთმანეთის ცვლიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები — საავტომობილო ქარხნის მთავარი ტექნოლოგიური ბიუროს უფროსი რუსი ი. რომანოვი, ლითოფონის ქარხნის მომარაგების განყოფილების ებრაელი ა. ბაბაევი, ინჟინერ-ტექნიკოსი ბერძენი ბ. ბალიანიდი, ინჟინერ-ტექნიკოსი ოსი ბ

საბჭოთა პოზიცია მშვიდობის პოზიციაა

ფრთებს შლის შავი კონტინენტი

ომის ცეცხლი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

ლონდონი, 22 მაისი. (საკდესი). ინგლისის მთავრობის რეპრესიების პოლიტიკის განგრძობა — სამხრეთ არაბეთის ფედერაციის ძალადმრიევი შენარჩუნება ახლანდელი ფორმით, აგრეთვე სამხედრო ბაზის შენარჩუნება ადენში ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად — სულ უფრო მზარდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ ახლო აღმოსავლეთში, ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-აღმასრულებლის პროფესორ ჯონ ბერნალის განცხადებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა ლონდონში.

თავისუფლება სამხრეთ არაბეთის ხალხს!

პროფესორი ჯონ ბერნალი მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ინგლისის სამხედრო ოპერაციები სამხრეთ არაბეთში, გამოყვანილ იქნეს იქიდან ინგლისის ჯარი და მოისპოს ბაზა ადენში, რათა სამხრეთ არაბეთის ხალხმა შეძლოს თვითონ განსაზღვროს თავისი მომავალი.

სამხედრო ოპერაციათა გეგმეგი

ვაშინგტონი, 22 მაისი. (საკდესი). ის, რომ ამერიკის რეაქტიულმა სადაზვერვო თვითმფრინავებმა დაიწყეს ფრენა ლაოსში, იუწყება დღეს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, იმოწმებს რა ოფიციალური პირების განცხადებებს, შესაძლოა მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამერიკის სამხედრო ოპერაციათა გასაფართოებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

საინფორმაციო სააგენტოები დღეს იუწყებიან, რომ ამერიკის ხომალდების ესკადრამ დატოვა ინდოეთის ოკეანე და შეუერთდა ამერიკის შერეთებული შტატების მეშვიდე ფლოტის ძირითად ძალებს წყნარ ოკეანეში. შორეული აღმოსავლეთის წყლებში ახლა არის ამერიკის სამი ავიამზიდი.

ვ. დავიდი ბელგრადში ჩავიდა

△ **იუგოსლავიის** სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კ. პოპოვიჩის მიწვეული ექცია დღის ოფიციალურ ვიზიტად ბელგრადში ჩავიდა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი. (საკდესი).

25 მაისი აფრიკის განთავისუფლების დღეა

აი ამ ბავშვებმა ჯერ არ იციან რას ნიშნავს „კანის ფერის პრობლემა", ბავშვებს არ უშლის ის, რომ ისინი სხვადასხვა ფერისა არიან.

მათ ერთი მზის ქვეშ უნდა იცხოვრონ, მშვიდობიანად, მეგობრულად... შორს არ არის ეს დღე. მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის მხარდაჭერით იღვიძებს „შავი კონტინენტი". ხვალ, 25 მაისს, აფრიკის დღეა! თავისუფალი აფრიკის დღესასწაული!

იაპონიის ინდუსტრიის ციტადელში

ფუკუოკა, 22 მაისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იტყობინება:

დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი ა. ი. მიკოიანის მეთაურობით ეწვია კიუსიუს კუნძულის მთავარ სამრეწველო ცენტრს ქალაქ კატაკიუსიუს. იაპონის ამ ქალაქში, რომელიც მეშვიდეა მოსახლეობის რაოდენობით, თავმოყრილია უამრავი მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათსაშენებელი და სხვა საწარმოები. აქვე არის იაპონიის უდიდესი მეტალურგიული კომბინატი, რომელიც „იავატა სეიტეცუს" კომპანიას ეკუთვნის. ამ კომბინატს ეწვია დღეს დელეგაცია. კომპანიის კიტაკიუსიუს ქარხნებში 1962 წელს გამოშვებული იყო თითქმის 5,5 მილიონი ტონა თუჯი, 6,5 მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი და 5 მილიონ ტონაზე მეტი ნაგლინი. წარმოებაში დასაქმებულია 40 ათასამდე მუშა და მოსამსახურე. „იავატა სეიტეცუს" ქარხნები აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე მოწყობილობით, კომბინატის საწარმოთა შორის არის იაპონიაში უდიდესი ბრძმედები, რომელთა მწარმოებლობა 3 ათასი ტონა თუჯია დღე-ღამეში.

კომბინატში დელეგაციას მიესალმა „იავატა სეიტეცუს" კომპანიის პრეზიდენტი ი. ინაიმა. მან თქვა, რომ ჩვენს საწარმოებში არასოდეს არ ყოფილან ესოდენ საპატიო სტუმრები. ეს მიგვაჩნია იმის გამოვლინებად, რომ ინტერესს იჩენთ ჩვენი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისადმი. პრეზიდენტმა ილაპარაკა „იავატა სეიტეცუს" საწარმოთა განვითარების მაღალ ტემპზე და თქვა, რომ ეს ტემპი აიხსნება არა მარტო მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის შრომასმოყვარეობითა და ნიჭით, არამედ მეტწილად მშვიდობის შენარჩუნებით და განსაკუთრებით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, რაც უკანასკნელ წლებში მოხდა. მან დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, მისი მეცადინეობისათვის მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

დღესვე დელეგაცია გაეცნო „იავატა სეიტეცუს" შვილი კომპანიის „იავატა კაგაკუ კოგიოს" ქიმიურ ქარხნებს. ამ ქიმიური კომპანიის პრეზიდენტმა მ. ნაკამურამ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას იაპონიასა და სსრ კავშირს შორის, მოითხოვა, რომ შემდგომ განმტკიცდეს ეს ურთიერთობა, აგრეთვე განმტკიცდეს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს უმაღლესი საბჭოს დელეგაციას კიტაკიუსიუს მშრომელებმა. მთელ გზაზე დელეგაციას გულთბილად მიესალმებოდა ამ სამრეწველო ცენტრის ათასობით მცხოვრები.

ფუკუოკაში დაბრუნების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ეწვივნენ ფუკუოკას პრეფექტურის გუბერნატორს ტაიიტი უძაკის და ქალაქის მერს გენძო აბეს და მეგობრულად ესაუბრნენ მათ.

საღამოს ფუკუოკას პრეფექტურისა და ამ ქალაქის ხელისუფლებმა, აგრეთვე ფუკუოკას სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ დარბაზობა გამართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობის დროს გუბერნატორმა უძაკიმ და ა. ი. მიკოიანმა სიტყვები წარმოთქვეს.

ტოკიო, 22 მაისი. (საკდესი). დღეს აქ ქალაქ ფუკუოკიდან (კიუსიუ) იაპონიაში მოგზაურობის შემდეგ თვითმფრინავით დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი ა. ი. მიკოიანის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მტკიცე პოზიცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გააკეთა შემდეგი განცხადება:

როგორც გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" განაცხადა, მომდინარე წლის 20 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბატონმა სტივენსონმა, რომელიც გამოვიდა ლონდონის პრეს-კონფერენციაზე, განაცხადა: თითქოს „დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირი გადაიხედის თავის ბოლო ორგანიზაციის მიერ მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციათა განხორციელებისათვის". ბატონმა სტივენსონმა, როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, შეეცადა საქმე ისე წარმოესახა, თითქოს ლაპარაკია სსრ კავშირის რაღაც „ფინანსურ პასუხისმგებლობაზე" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე წესდების მიხედვით, და განაცხადა აგრეთვე, რომ თუ საბჭოთა კავშირი არ იკისრებს ახლო აღმოსავლეთსა და კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციის ხარჯებს, მაშინ შეიძლება მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეაში ხმის უფლება ჩამოერთვასო. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავს უფლება მისცა აგრეთვე „სისულელე" ეწოდებინა იმ გაფრთხილებისათვის, რაც ამის თაობაზე გაკეთა საბჭოთა მთავრობამ.

ბატონი სტივენსონის იმ მტკიცების გამო, თითქოს საბჭოთა კავშირი არ კისრულობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კანონიერ ხარჯებს, და მისი ცდების გამო, შექმნას ილუზიები, თითქოს საბჭოთა კავშირს შეუძლია გადასინჯოს თავისი უარი შუა აღმოსავლეთსა და კონგოში გაერთიანებული ერების ოპერაციების ხარჯები, რომ ეს შეიძლება აიძულონ საბჭოთა კავშირს ზემოქმედების საშუალებით, საბჭოთა მთავრობა მხოლოდ აცხადებს, რომ ასეთ ვარაუდს არა მარტო არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე საფუძველი, არამედ თუ ეცდებიან იმოქმედონ ამ ვარაუდის შესაბამისად, შეიძლება გვაიძულონ კვლავ გადავსინჯოთ ჩვენი დამოკიდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისადმი".

რასკის განცხადება

ვაშინგტონი, 23 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა ინტერვიუში რადიოკომპანიის „მიუჩიელ ბროდკასტინგ სისტემის" კორესპონდენტისადმი განაცხადა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნა „სიტუაცია, რომელიც ოფიციების „სიფრთხეს ქმნის". ჟურნალისტების წინააღმდეგ იგი ამტკიცებდა, რომ იქ ხდება „კომუნისტური აგრესია", და არა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია, რაც მრავალი წელია გრძელდება და უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გააქტიურდა.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას კუბის მიმართ, რასაც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ უპერსპექტივოა ფიდელ კასტროს მთავრობის „დამხობის" იმედები. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „იბრძოლონ კომუნიზმის წინააღმდეგ კუბაში".

ნიუ-იორკი, 23 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა ინტერვიუში რადიოკომპანიის „მიუჩიელ ბროდკასტინგ სისტემის" კორესპონდენტისადმი განაცხადა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნა „სიტუაცია, რომელიც ოფიციების „სიფრთხეს ქმნის". ჟურნალისტების წინააღმდეგ იგი ამტკიცებდა, რომ იქ ხდება „კომუნისტური აგრესია", და არა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია, რაც მრავალი წელია გრძელდება და უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გააქტიურდა.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას კუბის მიმართ, რასაც იძულებული იყო ეღიარებინა, რომ უპერსპექტივოა ფიდელ კასტროს მთავრობის „დამხობის" იმედები. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „იბრძოლონ კომუნიზმის წინააღმდეგ კუბაში".

ამერიკის კომპარტიის მიმართვა პრეზიდენტ ჯონსონისადმი

ნიუ-იორკი, 22 მაისი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „უორკერმა" გამოაქვეყნა ტექსტი დეპეშისა, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონს გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ. კომპარტია მოუწოდებს პრეზიდენტს დეკლარაციით მიმართოს ამერიკის შეერთებული შტატების სენატს, რათა რაც შეიძლება მალე მიიღოს კანონპროექტი ზანგი მოსახლეობის მოქალაქეობრივ უფლებათა შესახებ.

ეს კანონპროექტი მოიწონა წარმომადგენელთა პალატამ, მაგრამ სენატში სამხრეთ შტატების წარმომადგენელი ერთი მუშა დიქსიკრატები, რომლებიც ობსტრუქციის ტაქტიკას იყენებენ, ხელს უშლიან კენჭისყრას კანონპროექტის შესახებ. უფრო მეტიც, მათ შეძლეს მთელ რიგ შესწორებათა შეტანა კანონპროექტში და, როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს შესწორებანი მოიწონა როგორც დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ სენატში, ისე იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ. ეს შესწორებანი მიზნად ისახავენ, რომ გამოფიტონ ზანგი ხალხის ძირითადი მოთხოვნა, მოკლალეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის ყველა თვალსაჩინო ხელმძღვანელი, ხაზგასმულია დეპეშაში, უარყოფს ამ შესწორებებს.

ბატონო პრეზიდენტო, ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადეთ, რომ ზანგთა განთავისუფლების დეკლარაციის გამოცხადების ასი წლის შემდეგ. იგი დარჩება მხოლოდ დეკლარაციად, და რომ განთავისუფლება რეალობად უნდა იქცეს. უეჭველია, ხაზგასმულია დეპეშაში, რომ საკითხი, რომელიც დგას ჩვენი ერის წინაშე, არ შეიძლება გადაიტრას დიქსიკრატების დაშოშმინებისა და ხალხის ნების გათელვის გზით.

ამერიკელ ჯარისკაცთა ახალ ნაბიჯებზე

ვაშინგტონი, 23 მაისი. (საკდესი). ამერიკელ ჯარისკაცთა ახალ ნაბიჯებზე ეუბნებიან ამერიკელ ჟურნალისტებს ამ ქვეყნის ოფიციალურ პირებს, ეუბნებიან, ამბობენ, ეუბნებიან, ამბობენ, ეუბნებიან, ამბობენ

ლიტერატურა და ხელოვნება

პირველად რუსულ სცენაზე

ლენინგრადში გამოჩნდა აფიშები, რომლებიც იუწყებოდნენ მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის ახალი დადგმის შესახებ. მაყურებელი მიეჩვია ამ თეატრის სცენაზე ხედავდეს მასშტაბურ, ეპიკურ ნაწარმოებებს. მაგრამ ამჯერად დაპირებული იყო ხალისიანი კომედიური სპექტაკლი — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

და აი დადგა პრემიერის დღე. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. მთელმა ლენინგრადის პრესამ თეატრისა და ქართველი დრამატურგების ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის ამ ნაწარმოებზე დადებთი რეცენზიები მოათავსა.

— მაგრამ რატომ მიმართა თქვენმა თეატრმა სწორად ამ პიესას? — თეატრის მთავარ რეჟისორს ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს გ. ა. ტოვსტონოგოვს ვთხოვე ეამბნა ამის შესახებ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

— უწინარეს ყოვლისა, — იყო პასუხი, — პიესამ მიგვიზიდა ღრმა ლირიკულობით, რბილი იუმორით. დამდგმელი კოლექტივი მიხვდა, რომ მის წინაშეა მადლიანი დრამატურგიული მასალა, ძალიან საინტერესო როგორც მაყურებლისათვის, ისე მსახიობთა შემოქმედებითი მუშაობისათვის. მაგრამ ამავე დროს ჩვენს წინაშე თავიდანვე წამოიჭრა საკმაოდ დიდი სიძნელენი. რუსულ სცენაზე უნდა გადმოგვეტანა ქართული კოლორიტი, სათუთად დაგვეცვა სპექტაკლის გმირთა თვითმყოფი ეროვნული თვისებები.

ამ სიძნელეებმა ვერავინ ვერ შეაჩერა. ყველა შემსრულებელი დიდი აღფრთოვანებით მუშაობდა, და ამან ხელი შეგვიწყო ამოცანის დაძლევაში. ჩვენთვის საუკეთესო შეფასებაა მაყურებელთა დარბაზის გამოხმაურება. მაყურებლები სპექტაკლს ჩინებულად ხვდებიან, და ეს ჩვენთვის მით უფრო სასიამოვნოა, რომ ქართველ ავტორთა პიესა რუსულ ენაზე პირველად სწორედ ჩვენთან დაიდგა. სპეციალურად ჩვენი თეატრისათვის გაკეთდა თარგმანიც.

როცა ეს საუბარი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდება, ჩვენი თეატრი გასტროლებზე იქნება მოსკოვში. იქაც გავაცნობთ დედაქალაქის მცხოვრებთ ქართველი ჭაბუკის ზურიკოს გულშიჩამწვდომ ამბავს. გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენ კარგი ხელისა გამოვდგებით, რომ დუმბაძის და ლორთქიფანიძის პიესა ახლა სხვა ქალაქების რეპერტუარშიც შევა და რომ მას დიდი წარმატება მოელის.

ჩვენს სცენაზე სპექტაკლი დადგა რეჟისორმა რ. აგამირზიანმა, რომელმაც დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ გმირთა სახეები მკაფიო, ცოცხალი გამოსულიყო და ყველა სცენა რაც შეიძლება მეტყველი ყოფილიყო. სპექტაკლის აღქმას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს გაფორმებაც, რომელიც ჩვენი აზრით, კარგად შეასრულა მხატვარმა ი. სუმბათაშვილმა, აგრეთვე რ. ლაღიძის ლირიკული მუსიკა.

ერთი სიტყვით, სპექტაკლი უკვე ცოცხლობს და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მადლობა ვუძღვნათ იმათ, ვინც მას ბედნიერ გზას უსურვებს.

ო. კარიშევი.

ქ. ლენინგრადი.

„ჯარისკაცის ქვრივი“

პრემიერა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მწერალ რევაზ ჯაფარიძის რომანს „ჯარისკაცის ქვრივს“ ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ახალი სიცოცხლე შესძინა რომანს. გუშინ ამ თეატრის სცენაზე მორიგ პრემიერად წარმოდგენილ იქნა „ჯარისკაცის ქვრივი“. ინსცენირება ეკუთვნის გრ. კოსტავას.

სპექტაკლის ავტორები არიან რეჟისორი ა. ჭუთათელაძე, მხატვარი ი. ყიფშიძე, კომპოზიტორი მ. დავითაშვილი.

პრემიერის დღეს სპექტაკლში მთავარი როლები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა დ. ჭიკინაძემ, ტ. საყვარელიძემ, ვ. ნინუამ, ი. ტრიპოლსკიმ, ზ. ლაფერაძემ, გრ. კოსტავამ, ა. სიხარულიძემ, მსახიობებმა ნ. ჩხეიძემ, ბ. ამაღლობელმა, გ. გელოვანმა, კ. თოლორაიამ, მ. სიხარულიძემ.

შესანიშნავი სამეული

გ. ცაბაძის ოპერეტა მოსკოვის თეატრის სცენაზე

გასული წლის თებერვალში თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველად იქნა წარმოდგენილი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ **გიორგი ცაბაძის** მუსიკალური კომედია **„შესანიშნავი სამეული“** (პიესის ავტორი — დრამატურგი ნ. ხუნწარია). სპექტაკლს მაყურებელი მოწონებით შეხვდა, და იგი დღემდე წარმატებით იდგმება.

მალე პრემიერის შემდეგ თბილისელთა სპექტაკლს დაესწრნენ მოსკოვის ოპერეტის თეატრის დირექტორი ვ. ეფრემოვი, ამავე თეატრის საელტერატურო ნაწილის გამგე ი. გრინბერგი და მუსიკათმცოდნე ვ. ზაქსი (სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდან). სპექტაკლმა სტუმრებზე მაღალი შთაბეჭდილება დატოვა და გადაწყვეტეს მოსკოვის ოპერეტის თეატრში დაედგათ ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

ამ დღეებში მოსკოველმა მაყურებელმა ოპერეტის თეატრის სცენაზე პირველად ნახა ქართული ოპერეტა — „შესანიშნავი სამეული“. კომპოზიტორმა თავის ნაწარმოებში თბილისურ დადგმასთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. რუსული ტექსტის თარგმანი და რედაქცია ეკუთვნის ე. შატუნოვსკის.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რსფსრ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ვლ. კანდელაკმა, დირიჟორია ა. მიხაილოვი, ბალეტმეისტერი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. ბაგრატიონი, მხატვრები — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. შენგელია და მ. შენგელია (კოსტიუმების მხატვარი), ქორმეისტერია მ. ვნუკოვა.

გაზეთ **„კომუნისტის“** მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში რეჟისორმა **ვლ. კანდელაკმა** თქვა:

— **ჩემი, როგორც ხელოვანის პირადი დამოკიდებულება ამ მუსიკალურ ნაწარმოებისადმი იჭიდანაც ნათლად ჩანს, რომ სპექტაკლის რეჟისორი გახლავართ. „შესანიშნავი სამეულის“ მუსიკაც და ტექსტიც ძალიან საინტერესო და უაღრესად თანამედროვეა თავისი ხასიათითა და ეფერადობით. გიორგი ცაბაძის მუსიკალური ენისათვის დამახასიათებელია სწრაფვა ნაწარმოების ეროვნული კოლორატის შენარჩუნებისადმი, მაგრამ ისე, რომ მუსიკალური კულტურის განვითარების თანამედროვე დონესაც მთელი სისრულით უპასუხოს. ოპერეტაში უხვად არის დუეტები, ტრიოები, გუნდები. სწორედ ამიტომ იყო, რომ პირადად მეც და, შემიძლია ვთქვა, მთელი კოლექტივიც დიდი ინტერესით ვმუშაობდით ოპერეტის სცენური განხორციელებისათვის. ვფიქრობ, სპექტაკლიც ურიგო არ უნდა იყოს.**

სურათებზე: სცენები სპექტაკლ „შესანიშნავ სამეულიდან“. ზემოთ, მარცხნიდან — ა. პინეგინი (კუკური), ბ. პოვალიევი (ირაკლი) და გ. გრინერი (მერაბი); ქვემოთ — საბალეტო სიუიტა.

ფოტო მ. ჩერნოვისა.

ხალხური სიბრძნე

სამგორის სუნთქვა

ჩაუქრობელი სიცოცხლით,
დაულეველი ალერსით,
სამგორს — მამულის მშვენებას,
სალამი უმხურვალესი!
სულში ჩაღვრილა ბადაგი
მშობლიურ მზის და მთვარისა.
მახარებს წინსვლა, დიდება
ჩემი ცაფირუზ მხარისა.
ოქროს ხალების ბდღვრიალი
წალკოტში ამოქარგული,
სიო, საამო ნიავი,
ჩემი სიცოცხლის ფანდური.
იორი, ძუძუსვიანი,
ზღვად რომ აქცია სამგორი,
დაანურომუხტა ველები,
ტურფად მოხატა მთა-გორი,
მახარებს, როცა გავცქერი
ამ ზვრებს, ამ ყანებს, ამ ბაღებს.
ამ მიწის სუნთქვა ზაცოცხლებს,
მასულდგმულებს და მალაღებს.

ზაქარია ფილაშვილი,
სამგორი, მუშა.

ჩემო ვაზო!

გიხაროდეს, ჩემო ვაზო,
მთა და ბარის ამწვანება,
სიმღერის და სილამაზის
ოქროს ტასტზე დაბრძანება.

გაახილე მზის ქვეშ თვალი,
ფუტკრის ისრით დაისრულო,
ამოწოვე მიწას წყალი,
რომ მტევნები დაისრულო!

მე მოგკრიფო წყნარ ღიღინით,
შენ ფოთლები აშრიალო,
შენი წვენით — წითელ ღვინით
„ყელი ჩავიმაჭრიანო“.

რომ ბადაგის ჩანჩქერები
გამოსტაცო მიწას ქებულს,
მიაბარო ქართულ ქვევრებს —
ვეშაპივით პირდაღებულს.

ქართველს როდის დაუწუნეს
მღერა ყოველწამიერი,
დე დავძახოთ მოგუგუნე
ტკბილი მრავალჟამიერი!

ვალერიან გამგებელი,
საჩხერის რაიონი, სოფელი ჭირვილა.

ბაღები — აღამიანის მეგობრები

თბილისში დამთავრდა კავკასიის ბოტანიკური ბაღების მუშაკთა სამეცნიერო სესია. სესიაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, მახაჩყალის, ნალჩიკის, თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და ბევრი სხვა ქალაქის ბოტანიკური ბაღების 100-ზე მეტმა მეცნიერმა თანამშრომელმა, გამწვანების ტრესტების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენლებმა, არქიტექტორებმა.

სესია მიეძღვნა კავკასიის დასახლებული პუნქტების გამწვანების საკითხებს.

— კავკასიის ბოტანიკური ბაღები, — აცნობა საქდესის კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღის დირექტორმა, კავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა მ. გოგოლიშვილმა, — სისტემატურად ავსებენ და ამდიდრებენ მცენარეთა ასორტიმენტს ახალი დეკორაციული, ტექნიკური, სამკურნალო და ფლორის სხვა წარმომადგენლებით. ისინი გულდასმით აგროვებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცოცხალ მცენარეებსა და თესლს, აწარმოებენ გაცვლას საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ბოტანიკურ დაწესებულებებთან. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს ურთიერთობა დამყარებული აქვს საზღვარგარეთის 139 ქვეყანასთან.

ბოლო ხუთ წელიწადში კავკასიის ბოტანიკური ბაღების მარტო ხეებისა და ბუჩქების კოლექცია თითქმის სამჯერ გადიდდა.



ᲐᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲜᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ

მახარაძე. (საკ. კორ.). ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ამას წინათ ეწვივნენ მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები. ისინი ანასეულში გაივლიან საწარმოო-სამეცნიერო პრაქტიკას.

სტუდენტთა ჯგუფში არიან ალჟირელი გულამ ალაჰ მოჰამედი, მაროკოელი ასიკალ მოჰამედ მამუნი, მალიელი დუმბია ამიდუ, ცეილონელი სენასიგხე, ინდონეზიელი იუსუფ უტამა ტარიგანი და სხვები.

როგორც სტუდენტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დოცენტმა გრ. ტრეშჩოვმა განაცხადა, ისინი ანასეულში რამდენიმე თვეს დარჩებიან. გაეცნობიან ჩაისა და ციტრუსების მაღალი მოსავლის მიღების მოწინავე მეცნიერებას.

განსაკუთრებით თვალწარმტაცი და მიმზიდველია სოხუმის ბოტანიკური ბაღი ახლა, მაისის თბილ დღეებში.

სურათზე: სოხუმის ბოტანიკური ბაღის ყვავილების ხეივანი, რომელიც დამთვალიერებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ᲛᲝᲗᲘᲡ „ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ“

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ 159 ᲬᲚᲘᲡᲐ

ბაქო, 22 მაისი. (საკდესის კორ.). უწვეულო დაბადების დღე აღნიშნეს დღეს მთის სოფლის ბარზავუს მცხოვრებლებმა. აზერბაიჯანის უხუცესი მცხოვრებს შირალი მისლიმოვს შეუსრულდა 159 წელი.

აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით იუბილარს მიეულოცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ა. ისკანდეროვმა, რომელიც ზეიმზე ჩამოვიდა რაიონულ ცენტრ ლერიკში.

შირალი მისლიმოვი თავს კარგად გრძნობს. ჯერ კიდევ მხნედ არის და ჯანზეა. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მთავარ საიდუმლოდ აზერბაიჯანის უხუცეს მცხოვრებს მიაჩნია ფიზიკური შრომა, რომელსაც დღემდე ეწევა. მას უყვარს მუშაობა თავის ბაღში, უყვარს ცხვარს. შირალიბაბა, როგორც მას პატივისცემით უწოდებენ თანასოფლელები, ბევრს დადის ფეხით, ხშირად კი სეირნობს ცხენით.

მთის „პატრიარქის“ შთამომავლობა 150-ზე მეტი კაცისაგან შედგება.

თალიშის მთებში, სადაც შირალი მისლიმოვი ცხოვრობს, აღრიცხულია 40-ზე მეტი კაცი, რომელთა წოდოვანება ასიდან ასოცდაათ წელს აღწევს.

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა

საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, გროდნოს რაიონული ბაზის ექსპედიტორმა გრანატკინმა ქალაქის განაპირას საქონლით დატვირთული მოტოციკლი დაინახა. მძღოლში თავისი ბაზის თანამშრომელი მეჩნიკი შეიცნო და ჰკითხა, რა მიგაქვსო. მეჩნიკს ხმა არ გაუცია, აგური აიღო და გრანატკინს თავში დაარტყა. ექსპედიტორი დაეცა...

მკვლელმა თავისი მსხვერპლი ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე წაიღო, ორმოში ჩაათრია და თოვლი მიაყარა. შემდეგ, ბაზაში რომ დაბრუნდა, ხმაური ატეხა: საწყობი გაძარცვესო! ყველამ ძებნა დაუწყო გრანატკინს და, რაკი ვერ იპოვნეს, დასკვნეს, საწყობი მას გაუქურდავსო. დაიწყო „საშინი ქურდის“ ძებნა.

სამი კვირა გავიდა. მეჩნიკი დამშვიდდა. მაგრამ აი ტყის მჭრელებმა იპოვნეს გრანატკინის გვამი. „განკვეთა მოახდინეთ“, — უთხრა პროკურორმა ქირურგ იაკენდეევს. „ახლა არ შეიძლება, — უპასუხა ექიმმა. — გვამი გაყინულია. ხვალამდე დავიცადოთ“.

გრანატკინი ცალკე ოთახში დადეს. როცა ყველანი წავიდნენ, ექიმი ერთხელ კიდევ მიეიდა მასთან: სიცოცხლის არავითარი ნიშანი არა აქვს, მაჯა არ უცემს, გული არ მუშაობს.

მაგრამ თვალები! ისინი გვამის თვალებს არა ჰგვანან. და ფრჩხილები — ხელს რომ დაჭერ, ოდნავ წითლდებიან... ნუთუ? შეუძლებელია! გრანატკინი ხომ უკმელ-უსმელი 23 დღეს ეგდო, ასეთ ყინვაში...

ექიმი ყოველთვის ეკითხა: „ჩქარა შპრიცი, ადრენალინი, კოფეინი, გლუკოზა! გაათბეთ ფიზიოლოგიური ხსნარი, წყალი სათბურასათვის! ვგონებ, ეს ანაბიოზის უიშვიათესი შემთხვევაა...“

გრანატკინი სიცოცხლეს დაუბრუნდა. როგორ დარჩა ცოცხალი? თავში რომ დაარტყეს, ნერვული სისტემა გამოითიშა, გრანატკინი ლეთარგიულ ძილში ჩავარდა. მას თბილად ეცვა, თანაც თოვლის სქელი ფენით იყო დაფარული, და ამან გადაარჩინა გაყინვას.

ცოტა ხანი გავიდა, და ვრანატკინი საკუთარი გამოჯანსაღდა.

...მეჩნიკი გამომძიებლის წინ სავარძელში იჯდა და კითხვებზე უპასუხებდა.

— არაფერი არ ვიცი, — ამბობდა დამნაშავე, — სჯობს გრანატკინი მოძებნოთ, ის თვითონ მოგიყვებათ ყველაფერს.

— ამ კაცს ეცნობთ? — ჰკითხა გამომძიებელმა.

მეჩნიკი მიბრუნდა და გაშვშდა...

მ. გოლუბევა.
(„ნედელია“)

შეხვედრა „გოღიათთან“

უხსოვარი დროიდან მკვდარი მყუდროება მეფობდა ყარაყუმის თვალუწვდენ უდაბნოებში; აქლემების ზანზალაკების ეღარუნი თუ დაარღვევდა მას ეამიდან ეამს, და ისიც იშვიათ საქარავნო გზებზე.

უჩვეულო ხმაურმა და გრიალმა შესძრა ამას წინათ ქვიშისა და სიჩუმის სამეფო — უდაბნოს შიშველ ბორცვებს შეუტიეს ფოლადის „გოლიათებმა“ — ტანკებმა...

თურქმენეთის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის ფრიადოსანი სატანკო ოცეული სასწავლო წვრთნას გადიოდა უდაბნოს ისეთ ადგილებში, სადაც მანამდე ადამიანს ფეხი არ დაედგა. პაპანაქება და სულშემხუთავი ქარი უეცრად კოკისპირულმა წვიმამ შეცვალა. ქვიშა წყლით გაიჟღინთა. სიცხისაგან ბეტონივით გაქვავებული ტაკირები — ასე ეძახიან აქ ველებს — ჭაობებად იქცა. მარში გაძნელდა. მაგრამ ბუნებამ ვერ შეძლო მამაცი ტანკისტების შეუპოვარი წინსვლის შეჩერება — ამოცანა წარმატებით იქნა შესრულებული...



და აი ერთ-ერთ ბორცვზე მოხდა მოულოდნელი შეხვედრა. ფოლადის „გოლიათის“ გრუხუნმა დაფრთხო უდაბნოს „გოლიათი“ — ვარანი. — უზარმაზარი ხმელეთის „ნიანგი“. იგი ბუჩქიდან გამობობდა. მხეცმა ტანკთან შებმას „გონივრულად“ არჩია გაქცევა. ფოტოკორესპონდენტის ტელეობიექტივმა მაინც მოუსწრო მას და ფირზე აღბეჭდა ეს საინტერესო შეხვედრა.

ფოტო „კრასნაია ზვეზდის“ სპეციალური კორესპონდენტის კ. კულიჩენკოსი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

სიჭაბუკისა და სილამაზის დღესასწაული

...სტადიონის თავზე ვერტმფრენი გამოჩნდა. საფეხბურთო მოედანზე პარაშუტით დაეშვა მსოფლიო რეკორდმენი ა. ხოხლინი. ცოტა ხანიც და მას მიჰყვნენ სპორტის ოსტატები გ. სუხანოვი, ვ. პოპოვი და ლ. გოგოშვილი.

ასე დაიწყო გუშინ საქართველოს სპორტსმენთა დღესასწაული „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, სადაც საზეიმოდ გაიხსნა სტუდენტთა მესამე რესპუბლიკური ასპარეზობა.

სპორტსმენებს მიესალმნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჯიბლაძე და საბჭოთა კავშირის გმირი ა. ხოხლინი.

„ბურევესტნიკის“ საუკეთესო სპორტსმენებმა აღმართეს ალაში.

საზეიმოდ ცერემონიალის შემდეგ შედგა ფეხბურთელთა მატჩი. თბილისის „დინამოს“ დუმლ შემადგენლობამ ანგარიშით 5:0 დაამარცხა საქართველოს ახალგაზრდულები ნაკრები. ფინალური ნაწილი ჩატარდა ორ ტურად. ოთხ ეროვნულ ნაკრებს ერთმანეთს ეთამაშა ორ-ორ ჯერ. ბოლოს ადგილი ასეთი გადანაწილდა: ბელორუსელებმა — ბალტიისპირელებს 2:0, ბალტიისპირელებმა — ბაკინელებს 2:0, ბაკინელებმა — ბელორუსელებს 2:0.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲔᲑᲡ ᲪᲓᲘᲡ

გუშინ სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა კალინინში გამართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში რუმინეთის საკლუბო გუნდ „უტასთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

გუშინ ამსტერდამში მოეწყო ფიდეს საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. ენერგიული წინაალმდეგობის მიუხედავად სპასკი დანებდა დარგას. ლარსენმა მოუგო პახმანს, ლენდიელმა — ბერგერს.

სამი ტურის შემდეგ ლიდერები არიან სმისლოვი და ლარსენი. თვითეულ მათგანს ორნახევარი ქულა აქვს.

დღეს გაიმართება მეოთხე ტური.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

სოხუმის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გუშინ მოეწყო ათი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება.

დიდი ინტერესი გამოიწვია ალექსანდრია-ასენოვას პარტიამ. ქართველ მოჭადრაკეს პოზიციური უპირატესობა ჰქონდა. მან წარმატებით ჩაატარა შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი და გაიმარჯვა. ასენოვამ ამ დღეს კიდევ ერთი დამარცხება განიცადა. ამჯერად მან წააგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონ რანიკუსთან.

ბელავენეცს ორი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი. პირველი შეხვედრა მან წააგო კარაკაშნესთან, სამაგიეროდ მოუგო ბიკოვას.

ბუცხრიკიძე-ნეიელკოვიჩის პარტიაში, როცა იუგოსლავიელმა მოჭადრაკემ კოხეერტი გახსნა, აღმოჩნდა რომ მოწინააღმდეგეს საუკეთესო სვლა ჰქონდა ჩაწერილი და ამიტომ ყაიმით დაკმაყოფილდა.

კელერ-გერმანს ბიკოვასთან ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი თავს კარგად იცავდა და შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

უკანასკნელი ტურის წინ სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ასეთია: **გაფრინდაშვილს** 9,5 ქულა აქვს ათიდან, **ჩაიკოვსკაიას** — 6,5 ქულა, **რანიკუს** — 6 ქულა, **ნედელკოვიჩს, კელერ-გერმანსა** და **კარაკაშნეს** — ხუთ-ხუთი ქულა, **ალექსანდრიას, ბუცხრიკიძესა** და **ბელავენეცს** — 4,5 ქულა თვითეულს, **თეოდორესკუს** — 4 ქულა, **ასენოვას** — 3,5 ქულა, **ბიკოვას** — 2 ქულა.

მ. ᲗᲘᲨᲝᲕᲘ.

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ — 24 ᲛᲐᲘᲡᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (დღისით), დემონი (საღამოს, მე-5 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ზაფხულის ღამის სიზმარი (დღისით, მე-3 აბონ. მე-6 წარმოდგენა), ეზოში ავი ძაღლია (საღამოს, მე-7 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (საღამოს უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჯარისკაცის ქვრივი (დღისით, 24-ე აბონ. მე-7 წარმოდგენა, საღამოს, მე-2 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ადამიანი ვარსკვლავებიდან (დღისით და საღამოს უაბონემენტოდ), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — აბლაბუდა, **სანკულტურის** — სახელგატეხილნი, **თოჯინების ქართული** — ცეროდენა (12 ს.), ჯადოსნური სიტყვა (3 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — სომხეთის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — თეთრად ფრიალებს აფრა ეული (აბონ. № 19, 11 ს., აბონ. № 21, 4 ს.).

ᲙᲘᲜᲝ — 24 ᲛᲐᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის, კოლხიდა (საზამთრო), კოსმოსი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ეშმაკი და ათი მცნება**, ამირანი (საზამთრო), სპარტაკი, 26 კომისრის სახ. (მეორე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), გაზაფხული — **მამაკაცები გუშინ, დღეს და...**, ამირანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), ოფიცერთა სახლი — **„საქმროები“ და „დანები“**, კომკავშირელი — **ელექტრა**, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **გაცდენილი ზაფხული**, ფილარმონიის ბაღი — **კაცი მატარებლიდან**, საქართველო (მწვანე დარბაზი — **ძველი მტრობა**, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **სიცილი სამოთხეში**, კოლმეურნე — **სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა**, თანამგზავრი — **ამ ღამით**, ნაკადული — **ყვირილი ქუჩიდან**, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **დილის მატარებლები**, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა სახლი — **ბედის დაფდაფები**, კიროვის სახელობის პარკი — **ყოფნა — არყოფნა**, კომფორტრების ბაღი — **რომაელი ეურნალისტი** (I-II სერია), ისანი (საზაფხულო) — **კალოიანი**, საქართველო (საზაფხულო) — **თეთრი ქარავანი**, კოლხიდა (საზაფხულო) — **ყალთაბანდობა კაზინოში**, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ორშაბათი მძიმე დღეა**, ვაკის პარკი — **სიყვარული და ოცნება**, მზიური — **არამზადების ბანდა**.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ — 25 ᲛᲐᲘᲡᲘ

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18,05 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — გადაცემა — „არაბიკის მღვიმეებში“, 19.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სალომ, ბახორ!“, 20.10 — ლიტერატურული გადაცემა, 20.45 — განცხადებები, 20.50 — მხატვრული ფილმი „დიდი დასაყრდენი“, 22.20 — ახალი ამბები.

26 ᲛᲐᲘᲡᲘ

12.00 — მხატვრული ფილმი „შენს ზღურბლთან“, 18.00 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.45 — კინონარკვევი „მეც გავხდი მასწავლებელი“, 19.00 — სპორტული გადაცემა, 19.45 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იავნანა“, 20.35 — განცხადებები, 20.40 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.00 — მხატვრული ფილმი „შენს ზღურბლთან“, 22.20 — ახალი ამბები.

„დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პროსპ. № 2)

26 მაისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის
გათამაშება „ა“ კლასის გუნდებს
შორის

II ჯგუფი

„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“, ᲔᲠᲔᲕᲜᲘ — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს. 15 წ.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში თამაში გადატანილ იქნება „ბურევესტნიკის“ სტადიონზე.

26 მაისის ბილეთები დათარიღებულია 17 მაისით.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ

ᲔᲠᲗᲘ დღის შესვენების შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა წყალბურთელებმა განაახლეს ბრძოლა მოსკოვში.

შეუპოვარი გამოდგა ცსკკ-სა და ბაქოს კკფ-ს გუნდების ბრძოლა. გაიმარჯვა ცსკკ-მ 5:4.

წლების განმავლობაში თბილისის დინამოელებისათვის აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა კოლექტივი.

და აი ეს გუნდები გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. გასული წლის ჩემპიონი, მიმდინარე გათამაშებაში მიუხედავად არასახარბიელო მდგომარეობისა, მთელი შეუპოვრობით იბრძოდა და მაინც ჩემპიონის წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა, გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

მატჩი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ტორპედოს“ გუნდებს შორის სტუდენტ წყალბურთელთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით, ანგარიშით 4:1.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲐᲣᲜᲓᲨᲘ

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება მოკრივეთა საკავშირო ზონალური პირველობა. გუშინ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები.

წარუმატებლად გამოვიდა თბილისელი ვ. პაპანდოპულო, რომელიც დამარცხდა ი. ქვევინსკისთან (ლვოვი). მეორე გამარჯვება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა გ. ვარდანიანმა. მან მოუგო ა. პავლოვს (ლენინგრადი).

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პირველთანრიგოსან ჯ. რაზმაძისა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობის ფინალისტის, საკავშირო ნაკრები გუნდის წევრის ს. ლომაკინის (მოსკოვი) ორთაბრძოლამ. ქართველმა სპორტსმენმა მეორე რაუნდში მოწინააღმდეგე ნოკაუტში ჩაადო.

ზ. მაჭავარიანმა (ქუთაისი) დაამარცხა ძლიერი მეტოქე ვ. ალიოშაიტი (კაუნასი). მ. მამამთავრიშვილი სამივე რაუნდში შეუპოვრად იბრძოდა მოსკოველ ნ. ვორობიოვთან და გაი